აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება

მასობრივი კომუნიკაციის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
შეფასების თარიღ(ებ)ი
29.12. 2020
დასკვნის წარდგენის თარიღი
19.02 2021

თბილისი
2021

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	**კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება**
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	**201951637**
დაწესებულების სახე	**უნივერსიტეტი**

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მასობრივი კომუნიკაცია

განათლების საფეხური	სადოქტორო
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	მასობრივი კომუნიკაციის დოქტორი Doctor of mass communication 0321
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	60 ECTS კრედიტი
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ლელა ფირალიშვილი, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ანა ქეშელაშვილი - GIPA საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თათია უბერი - კავკასიის უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა „მასობრივი კომუნიკაცია“ მომზადდა კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე. პროგრამა ახალია და წარდგენილია აკრედიტაციის მოსაპოვებლად. „მასობრივი კომუნიკაციის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია კომუნიკაციის ისეთი მაღალკვალიფიციური მკვლევრების მომზადება, რომლებიც შეძლებენ კვლევის მეთოდების ცოდნის საფუძველზე მასობრივი კომუნიკაციის თეორიების, მოდელების, მასკომუნიკაციის ძირითადი ტენდენციების გააზრებით ამ სფეროში ახალი ცოდნის შექმნას. მათ მიერ კომუნიკაციის პროცესის კვლევის შედეგების სამეცნიერო ანალიზის გარდა, ამ ცოდნას პრაქტიკულ - გამოყენებითი მნიშვნელობაც ექნება.

სადოქტორო პროგრამას აქტუალურობას სძენს რეგიონული უმაღლესი სასწავლებლების საჭიროების გათვალისწინება, სადაც მასკომუნიკაციის სადოქტორო ხარისხის მქონე პროფესორებისა და ლექტორების სიმცირე აღინიშნება.

დღეს შრომის ბაზარს, რა თქმა უნდა, ესაჭიროება მასობრივი კომუნიკაციის პროფესიონალის სტანდარტის მქონე სპეციალისტები, როგორც სასწავლო სექტორში, ასევე, არასამთავრობო სფეროშიც, რამდენადაც მათ, ძირითადად, უახლესი დროის სოციო-კულტურული სივრცის ჩამოყალიბების პროცესში შესაბამისი პრაქტიკული უნარ-ჩვევების გარდა, სერიოზული თეორიული საბაზო განათლება და სამოქალაქო ღირებულებათა ცოდნა აქვთ.

სრული სადოქტორო პროგრამული კურსი გათვლილია სამ აკადემიური წელზე (6 სემესტრი). პროგრამა შედგენილია ECTS სისტემით, 1 კრედიტი უდრის 25 ასტრონომიულ საათს, რომელშიც იგულისხმება როგორც საკონტაქტო, ისე დამოუკიდებელი მუშაობის საათები. კრედიტები წარმოდგენილია სასწავლო გეგმაში.

სასწავლო წელი აგებულია სემესტრული პრინციპით. თითოეული სემესტრის ხანგრძლივობა მოიცავს 19 კალენდარულ კვირას, შესაბამისად სასწავლო წელი დაგეგმილია 38 კვირაზე.

პროგრამა ითვალისწინებს სპეციალობის შვიდ სავალდებულო და ოთხ არჩევით კურსს (55 სავალდებულო და 5 არჩევითი კრედიტი), ასევე კვლევით კომპონენტს. სავალდებულო კურსები ძირითადად 5 და 10 კრედიტიანია. არჩევითი კურსები წარმოდგენილია ოთხი სილაბუსის სახით.

პროგრამა დასრულებულად ითვლება, როდესაც სტუდენტი დააგროვებს არანაკლებ 60 ECTS კრედიტს, შეასრულებს კვლევითი კომპონენტის სავალდებულო ელემენტებს: კვლევითი ნაშრომის დაგეგმვა და დიზაინი და 3 კოლოქვიუმის შესრულება და დაიცავს საკვალიფიკაციო შრომას.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

ვიზიტი განხორციელდა 2020 წლის 29 დეკემბერს წინასწარ შეთანხმებული დღის განრიგის მიხედვით. შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, ვიზიტის ფორმატი განხორციელდა „ZOOM“ ტექნოლოგიით. ექსპერტთა ჯგუფის წევრები შეხვდნენ უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფს, პროგრამის ხელმძღვანელს, პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, სადოქტორო

პროგრამის - მასკომუნიკაცია და მომიჯნავე პროგრამების სტუდენტებსა და კურსამთავრებულებს, ასევე, პოტენციურ დამსაქმებლებს. ექსპერტთა ჯგუფმა „დაათვალიერა“ (ელექტრონულად) კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა, ბიბლიოთეკა, და მულტიმედია ცენტრი, რომელიც ძირითად ტექნიკურ ბაზას წარმოდგენს პროგრამისთვის. კომისიამ ბიბლიოთეკაში შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გადაამოწმა პროგრამის სილაბუსით გათვალისწინებული ლიტერატურა და საბიბლიოთეკო ბაზებთან ხელმისაწვდომობა.
ვიზიტის განმავლობაში ექსპერტთა ჯგუფმა ობიექტურად, მშვიდ და კოლეგიალურ გარემოში წარმართა მუშაობა; დასასრულს, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს წარუდგინა პროგრამის შესახებ მოცემულ ეტაპზე ჩამოყალიბებული ძირითადი მიგნებები.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

  სადოქტორო პროგრამის ხუთივე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

რეკომენდაციები

- გაძლიერდეს კრიტიკული თეორიის სწავლება „თანამედროვე კომუნიკაციის აქტუალური პრობლემები, კვლევა და ანალიზი“ კურსის ფარგლებში. (ან დაემატოს არჩევითი კურსი);
- სამეცნიერო კვლევის მეთოდების კურსი დაიყოს თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდოლოგიის კურსებად და ისწავლებოდეს ორი სემესტრის განმავლობაში ნაცვლად ერთისა.
- გაძლიერდეს მონაცემების სტატისტიკური ანალიზის კომპონენტი ან არსებულ სილაბუსში საათების დამატებით, ან ცალკე არჩევითი საგნის შეთავაზების, ან ორივე აღნიშნული გზით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- რამდენადაც, მოთხოვნის შესაბამისად, დოქტორანტისთვის აუცილებელია ინგლისური ენის B2 დონეზე ფლობა, რომელიც სრულიად საკმარისია აკადემიური ტექსტის გაგებისთვისაც, ამ ენაზე საკუთარი ტექსტის აგებისთისაც და პროგრამის შედეგებზე გასვლისთვისაც, მაინც, სასურველი იქნება, უნივერსიტეტმა დოქტორანტებს (დოქტორანტების სურვილის შემთხვევაში) ცოცხალი მეტყველების უნარების გასაუმჯობესებლად (მრგვალი მაგიდებისთის, კონფერენციებისთვის და ა.შ), მისცეს საშუალება, გაიუმჯობესოს სამეტყველო უნარ-ჩვევები უნივერსიტეტშივე - დამატებითი ტრენინგებით, რომელიც შესაძლოა, მთელი უნივერსიტეტის ყველა პროგრამის დოქტორანტებისთვის საერთო იყოს.

- კურსის - „პროფესორის ასისტენტობა“ სათაურში გათვალისწინებულ იქნას კურსის პრაქტიკული დატვირთვის მქონე შინაარსიც, რამდენადაც იგი უფრო მეტად შეესაბამება დოქტორანტის მიერ პედაგოგიური პრაქტიკის გამოცდილების შეძენას, ვიდრე ასისტენტობის პრაქტიკისა. გარდა ამისა, სასურველია, მიეცეს სტუდენტს საშუალება, დაგეგმოს და ჩაატაროს არჩევითი სასწავლო კურსი ან მოდული სწავლების ქვედა საგანმანათლებლო საფეხურების პროგრამებისთვის.
- ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით, სასურველია, დაწესებულებამ პირველ ეტაპზე, გააღრმავოს თანამშრომლობა საზღვარგარეთის პარტნიორ უნივერსიტეტებთან; ასევე ფინანსური საკითხების მოგვარების მიზნით, გაცვლითი პროგრამების ფარგლებში, მოიძიოს და მიაწოდოს სტუდენტს ყველა საჭირო ინფორმაცია საერთაშორისო დონორების, საერთაშორისო კვლევითი ფონდების შესახებ, გაუწიოს კონსულტაცია საერთაშორისო კვლევითი ფონდების მიერ გამოცხადებული სტიპენდიების მოპოვებაში; უკვე არსებული ერასმუსის პროგრამის ფარგლებში, უზრუნველყოს სტუდენტების სათანადო, კონკურენტუნარიან კადრებად მომზადება, რათა მათ შეუფერხებლად შეეძლოთ გაცვლით პროგრამებში მონაწილეობა და პროგრამის ინტერნაციონალიზაციისთვის გათვალისწინებული მიზნების მიღწევა წარმატებით განხორციელდეს.
- უცხოელ პარტნიორებთან პროგრამის დაახლოება და მათი კურიკულუმების შესწავლა არა მარტო დისტანციურად, არამედ უშუალო კონტაქტის მეშვეობითაც.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის „მასობრივი კომუნიკაციები“ მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას და ორიენტირებულია მოამზადოს თანამედროვე ინფორმაციული საზოგადოებისათვის კონკურენტუნარიანი, კვალიფიციური თეორეტიკოსი და პრაქტიკოსი მასობრივი კომუნიკაციების სპეციალისტი, რომელსაც ექნება სამოქალაქო ღირებულებებზე დაფუძნებული თეორიული ცოდნა და თანამედროვე ინფორმაციულ კულტურაში, განათლების სისტემასა თუ მედია ინდუსტრიაში საქმიანობისთვის შესაბამისი პრაქტიკული უნარები და მუშაობისას დაეყრდნობა პროფესიულ სტანდარტებს. მეორეს მხრივ, კურსდამთავრებული შეძლებს მასობრივი კომუნიკაციის თეორიების, მოდელების, მასკომუნიკაციის ძირითადი ტენდენციების, კვლევის მეთოდების ცოდნისა და კომუნიკაციის პროცესის, კვლევის შედეგების ანალიზის საფუძველზე მასკომუნიკაციის სფეროში ახალი ცოდნის შექმნას, რომელსაც სამეცნიეროს გარდა, პრაქტიკულ - გამოყენებითი მნიშვნელობაც ექნება; სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ძირითადი მიზანია მასობრივი კომუნიკაციების ისეთი პროფესიონალი სპეციალისტის მომზადება, რომელიც საფუძვლიანად ფლობს: ▪ კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვისა და ჩატარების შესაძლებლობას ▪ აქვს დარგში სისტემური ცოდნა

- კურსდამთავრებულს შეუძლია ჩაატაროს მასობრივი კომუნიკაციის ცალკეულ დარგში მიმდინარე პროცესების მაღალი ხარისხის კვლევა და ანალიზი, გამოავლინოს ტენდენციები, შეძლოს ახალი, ინოვაციური იდეების გენერირება-რეალიზება, კრიტიკულად გაანალიზოს დაგროვილი ცოდნა და გამოცდილება;
- შეუძლია მოამზადოს მასობრივი კომუნიკაციის დარგის კონკურენტუნარიანი, საერთაშორისო დიაპაზონის კვლევა.

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და ტენდენციებს; უსდ-ს მიერ ჩატარებულმა დასაქმების ბაზრის კვლევამ და პოტენციურ დამსაქმებლებთან ინტერვიუმ აჩვენა ამ სფეროს მაღალკვალიფიციურ კურსდამთავრებულთა საჭიროება. პროგრამის მიზანი გაზიარებულია პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის პროცესის ეფექტიანი წარმოებისათვის კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტს აქვს ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია, რომლის ფარგლებში გაფორმდა არაერთი ურთიერთთანამშრომლობითი ხელშეკრულება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის მიზნები;
- საგანმანათლებლო პროგრამის „მასობრივი კომუნიკაცია“ თვითშეფასების ანგარიში;
- კსუ-ს მისია, სტრატეგიული განვითარების გეგმა; ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია;
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი https://www.ciu.edu.ge/
- ინტერვიუს შედეგები ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან; თვითშეფასების ჯგუფთან.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

უცხოელ პარტნიორებთან პროგრამის დაახლოება და მათი კურიკულუმების შესწავლა არა მარტო დისტანციურად, არამედ უშუალო კონტაქტის მეშვეობითაც.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც დოქტორანტი იძენს პროგრამის დასრულებისას;

- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
- ზოგადად, პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიერ განსაზღვრულ, მე-8 დონის ცოდნას, უნარებსა და პასუხისმგებლობა/ავტონომიურობას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

მასობრივი კომუნიკაციის სადოქტორო პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და თანხვედრაშია პროგრამის მიზნებთან. შედეგები მოიცავს პროგრამის შინაარსით გათვალისწინებულ ძირითად ცოდნას, უნარებსა და პასუხისმგებლობებს.

პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს სადოქტორო დონის ცოდნას, უნარებსა და პასუხისმგებლობა-ავტონომიურობას. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურაში შემავალი სასწავლო კურსების ერთობლიობა და თემატური სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას.

სწავლის შედეგები არის გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტური. პროგრამის სტრუქტურაში შემავალი სასწავლო კურსების სილაბუსებში მკაფიოდ არის გამიჯნული თითოეული საგნის, სასწავლო დისციპლინის მიზანი და სწავლის შედეგები, რაც თავის მხრივ, უზრუნველყოფს ცოდნის, პრაქტიკული უნარებისა და პასუხისმგებლობა-ავტონომიურობის ასევე მკაფიოდ გამიჯვნას.

სწავლის შედეგების შეფასება ხდება თანმიმდევრულად და გამჭვირვალედ, ითვალისწინებს დარგის სპეციფიკას და მოიცავს შეფასების ადეკვატურ ფორმებსა და მეთოდებს; საშუალებას იძლევა დადგინდეს, თუ რამდენად მიაღწიეს კურსდამთავრებულებმა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ შედეგებს. სწავლის შედეგების შეფასებისას გამოიყენება პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასების მეთოდი. პირდაპირი შეფასება მოცემულია სასწავლო კურსის პროგრამებში (სილაბუსებში). არაპირდაპირი შეფასება ხორციელდება სტუდენტების, დამსაქმებლების, აკადემიური პერსონალის და კურსდამთავრებულების გამოკითხვის, ფოკუს-ჯგუფებისა და დაინტერესებულ პირებთან შედეგების ანალიზის საფუძველზე.

პროგრამის შემმუშავებელმა ჯგუფმა შედეგების ფორმირებისას გაითვალისწინა მასობრივი კომუნიკაციის, როგორც მულტოდისციპლინური სფეროს სწავლების მეთოდოლოგიები, და შეფასების სისტემა; მატერიალური და ადამიანური რესურსი; პროგრამის სწავლის შედეგების რუკა ლოგიკურია და ითვალისწინებს სასწავლო კურსების კავშირს სწავლის შედეგებთან. პროგრამის შედეგები ითვალისწინებს დასაქმებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნებს. პროგრამის დასრულების შემდეგ დოქტორანტს მასკომუნიკაციის ტექნოლოგიების ღრმა, საფუძვლიანი, სისტემური ცოდნა და პროფესიული უნარ-ჩვევები აქვს. ამასთან, აქვს საკმარისი კომპეტენცია იმისათვის, რომ სრულფასოვნად ჩაერთოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, როგორც მაღალი კლასის პროფესიონალი. საგანმანათლებლო პროგრამას განსაზღვრული აქვს პროგრამის სწავლის შედეგების (პსშ) შეფასების მექანიზმი. პსშ შემუშავებულია დარგობრივი მახასიათებლისა და მასკომუნიკაციის სფეროს აუცილებელი კომპეტენციების გათვალისწინებით. პსშ წარმოადგენს ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციებს, რაც ექნება მასკომუნიკაციის სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულს - სწავლის შედეგების შეფასება ხდება თანმიმდევრულად და გამჭვირვალედ. პროგრამას შემუშვებული აქვს კურიკულუმის რუკა; პროგრამის სწავლის შედეგების (პსშ) შეფასების გეგმა, სასწავლო კურსებისა და პროგრამის სწავლის შედეგების რუკა. პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალი იცნობს სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებს, რაც დასტურდება ინტერვიუს სესიებით. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად. პროგრამა ახალია, შესაბამისად, ჯერ ვერ მოხდებოდა პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მონაცემების შედარება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები ▪ თვითშეფასების დოკუმენტი ▪ საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები ▪ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი ▪ შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზის დოკუმენტი

- განხორციელებული შეფასების შედეგები
- უსდ-ის მიერ ჩატარებული სტუდენტთა/კურსდამთავრებულთა/დამსაქმებელთა/პერსონალის გამოკითხვის ფორმები, გამოკითხვის შედეგები და მათი გამოყენება

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	**შესაბამისობა შია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობა შია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობა შია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მასობრივი კომუნიკაციის სადოქტორო პროგრამა შედგენილია უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. მასობრივი კომუნიკაციის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის კანდიდატს მოეთხოვება ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი სერთიფიკატი. ამასთან, ინგლისური ენის B2 (ALTE) დონეზე ცოდნის სერთიფიკატის წარდგენისაგან თავისუფლდება პირი, რომელსაც საბაკალავრო ან სამაგისტრო პროგრამა გავლილი და დასრულებული აქვს ინგლისურ ენაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში პირი ვალდებულია ტესტირება გაიაროს უნივერსიტეტის ენების ცენტრში. ენის ცოდნის მოთხოვნილი დონე ითვლება გაწაფულობის საშუალო დონედ. ენის ამ დონეზე მცოდნეს უკვე უნდა შეეძლოს, თავი გაართვას ენის ძირითად სტრუქტურას და გამოიყენოს სხვადასხვა სიტუაციის შესაბამისი კომუნიკაციის სტრატეგიები. იგი ფლობს ფართო ლექსიკას; მოსმენისას და კითხვისას სცილდება ფაქტობრივი ინფორმაციის ცალკეული პუნქტების გაგებას, შეუძლია განასხვავოს ძირითადი და მეორეხარისხოვანი საკითხები, ტექსტის ზოგადი თემა და სპეციფიკური დეტალები. სხვადასხვა ტიპის ტექსტის წერისას მას უნდა შეეძლოს როგორც არგუმენტის ჩამოყალიბება, ასევე მოვლენების აღწერა და თხრობა. ენის ამ დონეზე მცოდნეს გარკვეულწილად თავისუფლად შეუძლია სხვადასხვა კონტექსტში ენის გამოყენება. პროგრამაზე ჩარიცხვა ხდება გასაუბრების შედეგების საფუძველზე. გასაუბრების დროს კონკურსანტს მოეთხოვება: ➢ ზოგადი წარმოდგენა ჰქონდეს მასკომუნიკაციის სფეროს თანამედროვე, აქტუალურ საკითხებზე; ➢ მიმღებ კომისიას წარუდგინოს სამოტივაციო წერილი საკვლევ თემასთან დაკავშირებით; ➢ წარმოადგინოს საკვლევი თემის პროექტი, რომელიც ითვალისწინებს მისი კვლევის ინტერესს (კონკურსანტის პროგრამაზე ჩარიცხვის შემდგომ შესაძლებელია წარმოდგენილი პროექტის თემატიკის სრულად ან ნაწილობრივ ცვლილება, დოქტორანტის ინტერესებიდან გამომდინარე); ➢ წარმოადგინოს ორი სარეკომენდაციო წერილი, შესაბამისი დარგის აკადემიური წრეებიდან (კონკურსანტის, პროგრამის პროფილით სამუშაო გამოცდილების

არსებობის შემთხვევაში, ერთი სარეკომენდაციო წერილი, შესაბამისი დარგის აკადემიური წრეებიდან, მეორე - დამსაქმებელი კომპანიიდან ან ორგანიზაციიდან). გასაუბრების საკითხები და კონკურსანტთა ცოდნის შეფასების კრიტერიუმები თავსდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე გამოცდის ჩატარებამდე მინიმუმ ერთი თვით ადრე (www.ciu.edu.ge). პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭვირვალეა და უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას, რაც ემსახურება დოქტორანტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას. მასობრივი კომუნიკაციის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც აკმაყოფილებს დოქტორანტურის დებულებით დადგენილ მოთხოვნებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ➢ კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის დებულება ➢ მასკომუნიკაციების სადოქტორო პროგრამა ➢ თვითშეფასების ანგარიში და თანდართული დოკუმენტაცია ➢ უნივერსიტეტის ვებგვერდი https://www.ciu.edu.ge/ ➢ ინტერვიუს შედეგები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მასობრივი კომუნიკაციის სადოქტორო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში, პროგრამა, თანდართული დოკუმენტაცია და აკრედიტაციის ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები ცხადჰყოფს, რომ პროგრამა შედგენილია უნივერსიტეტის მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის,

შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. უნივერსიტეტში მოქმედებს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, რომელიც გულისხმობს შემდეგ ეტაპებს: (1) მოსამზადებელი ეტაპი, რომლის დროსაც ტარდება დასაქმების ბაზრის კვლევა, დაინტერესებული მხარეების განსაზღვრა, აუცილებელი ინფორმაციის და რესურსების მობილიზება და სამუშაო ჯგუფის ფორმირება. (2) მეორე ეტაპზე სამუშაო ჯგუფი განსაზღვრავს პროგრამის ძლიერ და სუსტ მხარეებს, მოსალოდნელ საფრთხეებსა და შესაძლებლობებს; (3) შემდეგ ეტაპზე სამუშაო ჯგუფი ადგენს პროგრამის განვითარების ხულთწლიან გეგმას და პროგრამის განხორციელების პროცესში დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაციის სტრატეგიასა და პერიოდულობას; ბოლო (4) ეტაპზე ფასდება პროგრამის განხორციელების პროცესის პერიოდული შედეგების შესაბამისობა პროგრამის მიზნებსა და სტრატეგიებთან.

პროგრამაზე დაშვების ერთ-ერთი წინაპირობა არის ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნა, რომელიც სრულიად საკმარისია აკადემიური ტექსტის გაგებისთვისაც, ამ ენაზე საკუთარი ტექსტის აგებისთვისაც და პროგრამის შედეგებზე გასვლისთვისაც, მაინც, სასურველი იქნება, უნივერსიტეტმა დოქტორანტებს (დოქტორანტების სურვილის შემთხვევაში) ცოცხალი მეტყველების უნარების გასაუმჯობესებლად (მრგვალი მაგიდებისთის, კონფერენციებისთვის და ა.შ), მისცეს საშუალება, გაიუმჯობესოს სამეტყველო უნარ-ჩვევები უნივერსიტეტშივე - დამატებითი ტრენინგებით, რომელიც შესაძლოა, მთელი უნივერსიტეტის ყველა პროგრამის დოქტორანტებისთვის საერთო იყოს.

სადოქტორო პროგრამის ხანგრძლივობა სულ მცირე, ექვს სემესტრს შეადგენს და შედგება სასწავლო კომპონენტისა (სავალდებულო 55 და 5 არჩევითი კრედიტი) და კვლევითი კომპონენტებისგან. თავდაპირველად პროგრამის აღწერაში, როგორც ჩანს, დაშვებული იყო ტექნიკური უზუსტობა და სასწავლო კომპონენტის კრედიტებში მითითებული იყო 180 კრედიტი, თუმცა შინაარსობრივად პროგრამა 60 სასწავლო კრედიტზე იყო აგებული. აკრედიტაციის ვიზიტის დღეს უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ მოგვაწოდა პროგრამის შესწორებული ვარიანტიც.

სადოქტორო პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია.

პირველ ეტაპზე დოქტორანტი ასრულებს სასწავლო კომპონენტის მოთხოვნებს, რაც მასობრივი კომუნიკაციის დარგში მისი ცოდნის გაღრმავებას, კვლევითი უნარების განვითარებას, მეთოდოლოგიურ დახელოვნებას უწყობს ხელს და, ასევე, ამზადებს მას მომავალი პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობისათვის.

სასწავლო კომპონენტის სავალდებულო ელემენტებია:

- აკადემიური წერა დოქტორანტებისათვის (5 ECTS);
- თანამედროვე კომუნიკაციის აქტუალური პრობლემები, კვლევა და ანალიზი (5 ECTS);
- სამეცნიერო კვლევის მეთოდები (10 ECTS);
- სწავლების თანამედროვე მეთოდები (5 ECTS);
- სამეცნიერო კვლევების მენეჯმენტი (5 ECTS);
- პროფესორის ასისტენტობა (15 ECTS);
- თემატური სემინარი (10 ECTS).

დოქტორანტს შეუძლია 5 კრედიტი მოიპოვოს შემდეგი საგნებიდან ერთ-ერთის არჩევით: საინფორმაციო ომების თანამედროვე ტექნოლოგიების აქტუალური პრობლემები, კვლევა და ანალიზი (5 ECTS); ბლოკჩეინის თაობის სოციალური მედიის თანამედროვე აქტუალური პრობლემები, კვლევა და ანალიზი (5 ECTS); მედიაკულტურის სემიოლოგიის თანამედროვე აქტუალური პრობლემები, კვლევა და ანალიზი (5 ECTS); წერის თანამედროვე სტრატეგიების აქტუალური პრობლემები (5 ECTS).

კვლევით საქმიანობას დოქტორანტი პირველი წლის მეორე ნახევარში იწყებს თემატურ სემინარზე მუშაობის ფარგლებში. თემატური სემინარი, რომელიც არ უნდა იყოს სადისერტაციო თემის ნაწილი, დოქტორანტის კვლევითი უნარებისა და კონკრეტულ სფეროში ცოდნის გაღრმავებას ემსახურება და სამეცნიერო ხელმძღვანელთან და სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელთან შეთანხმებით ირჩევა. პირველივე წლის ბოლოს დოქტორანტი წარადგენს სადოქტორო კვლევითი ნაშრომის გეგმასა და დიზაინს.

მეორე და მესამე წლის განმავლობაში დოქტორანტი ეტაპობრივად აბარებს ხელმძღვანელს შემდეგ ნაშრომებს:

- კვლევითი ნაშრომის კოლოქვიუმი-1;
- კვლევითი ნაშრომის კოლოქვიუმი-2;
- კვლევითი ნაშრომის კოლოქვიუმი-3;
- სადისერტაციო ნაშრომის დასრულება და დაცვა.

სადისერტაციო ნაშრომის დაცვაზე დაშვების წინაპირობაა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტის (60 კრედიტის) და კვლევითი კომპონენტის სავალდებულო ელემენტების: კვლევითი ნაშრომის დაგეგმვა და დიზაინი და 3 კოლოქვიუმის შესრულება. შესაბამისი სილაბუსები დეტალურად აღწერს მოთხოვნებს და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების წინაპირობაა სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული ყველა სასწავლო და კვლევითი კომპონენტის შესრულება. სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულს ენიჭება მასობრივი კომუნიკაციის დოქტორის კვალიფიკაცია/აკადემიური ხარისხი და ეძლევა შესაბამისი სადოქტორო პროგრამის დასრულების დამადასტურებელი სახელმწიფო ნიმუშის დიპლომი. კვალიფიკაციის მინიჭება ხდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორის“ შესაბამისად. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ➢ უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მასობრივი კომუნიკაციის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ➢ ბაზრის კვლევის ანგარიში; ➢ უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მასობრივი კომუნიკაციის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა; ➢ საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია; ➢ უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მასობრივი კომუნიკაციის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო და კვლევითი კომპონენტების სილაბუსები; ექსპერტთა ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუ - დაწესებულების ადმინისტრაციასთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, თვითშეფასების ჯგუფთან, დამსაქმებლებთან.
რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

რამდენადაც, მოთხოვნის შესაბამისად, დოქტორანტისთვის აუცილებელია ინგლისური ენის B2 დონეზე ფლობა, რომელიც სრულიად საკმარისია აკადემიური ტექსტის გაგებისთვისაც, ამ ენაზე საკუთარი ტექსტის აგებისთისაც და პროგრამის შედეგებზე გასვლისთვისაც, მაინც, სასურველი იქნება, უნივერსიტეტმა დოქტორანტებს (დოქტორანტების სურვილის შემთხვევაში) ცოცხალი მეტყველების უნარების გასაუმჯობესებლად (მრგვალი მაგიდებისთის, კონფერენციებისთვის და ა.შ), მისცეს საშუალება, გაიუმჯობესოს სამეტყველო უნარ-ჩვევები უნივერსიტეტშივე - დამატებითი ტრენინგებით, რომელიც შესაძლოა, მთელი უნივერსიტეტის ყველა პროგრამის დოქტორანტებისთვის საერთო იყოს.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მასობრივი კომუნიკაციის სადოქტორო პროგრამა მიზნად ისახავს კომუნიკაციის მაღალკვალიფიციური მკვლევარების მომზადებას, რომლებიც შეძლებენ მასობრივი კომუნიკაციის სფეროში ახალი ცოდნის შექმნას. შექმნილ ცოდნას ექნება როგორც სამეცნიერო, ისე პრაქტიკულ-გამოყენებითი მნიშვნელობა. პროგრამის კურსდამთავრებულები ასევე შეძლებენ სწავლა-სწავლების პროცესში ჩართვასა და შექმნილი ცოდნის როგორც დარგის სპეციალისტების, ასევე ფართო აუდიტორიისთვის გაზიარებას.

სასწავლო კურსების სწავლის შედეგების, შინაარსის, სილაბუსების შესწავლისა და პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გასაუბრების შედეგად, გამოიკვეთა სასწავლო კურსის ძლიერი მხარეები და ასევე გასაუმჯობესებელი ელემენტები. კერძოდ, პროგრამის ინოვაციურობა და თანამედროვე თემატიკის შემოტანა, რომელსაც ძლიერი სპეციალისტები ასწავლიან, უდაოდ მიმზიდველი და საინტერესო პროგრამის გარანტიაა. პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი მაღალკვალიფიციურია და ეს წარმოდგენილ სილაბუსებშიც ნათლად ჩანს. სასწავლო კურსების სწავლის შედეგები, ისევე, როგორც კრედიტები, უმეტესწილად შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს და სილაბუსებში გათვალისწინებული სასწავლო მასალა და თემატიკა ეხმიანება პროგრამის ინოვაციურობასა და თანამედროვე გამოწვევების შესახებ სამეცნიერო ცოდნის გაღრმავების მიზანს.

ვიზიტის დროს სასწავლო კურსის გაძლიერების მიზნით, რამდენიმე მოსაზრება გამოიკვეთა და განხილული იქნა პროგრამის ხელმძღვანელთან და აკადემიურ პერსონალთან.

კერძოდ, კომუნიკაციის თეორიებს ფარავს კურსი „თანამედროვე კომუნიკაციის აქტუალური პრობლემები, კვლევა და ანალიზი“, რომელშიც სასურველია კომუნიკაციის კრიტიკული თეორიების ჩართვა და გაძლიერება. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ დოქტორანტებისთვის, რომლებსაც არ აქვთ მასობრივი კომუნიკაციის ბაკალავრის ან მაგისტრის კვალიფიკაცია და არ იცნობენ სფეროს იდეოლოგიურ თუ საზოგადოებრივ კონტექსტსა და არსს. მეორე მხრივ, სადოქტორო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა შეზღუდული არ არის პროფესიული ნიშნით. ამდენად, იმ დოქტორანტებისთვის, რომლებსაც სწავლების წინა ეტაპზე შესაბამისი თეორიული კურსები არ გაუვლიათ, ვფიქრობთ, აუცილებელია არჩევითი კურსის ფარგლებში პროგრამამ შესთავაზოს დამოუკიდებელი არჩევითი კურსი თეორიული ცოდნის ასათვისებლად.

სამეცნიერო კვლევის მეთოდების კურსი, რომელიც პირველივე სემესტრში ისწავლება და 10-კრედიტიანია, სასურველია გაიყოს ორ, თუნდაც რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდოლოგიის კურსებად და ისწავლებოდეს ორი სემესტრის განმავლობაში, რომ სტუდენტს დოქტორის კვალიფიკაციის შესაბამისი ღრმა ცოდნა მისცეს კვლევის მეთოდების შესახებ.

ამასთან, რეკომენდებულია, გაძლიერდეს მონაცემების სტატისტიკური ანალიზის სწავლება სასწავლო პროგრამაში. ეს შესაძლებელია მოხდეს რაოდენობრივი კვლევის მეთოდოლოგიის კურსში მონაცემების სტატისტიკური ანალიზისთვის გარკვეული საათების დათმობით, ან ცალკე, არჩევით კურსად შეთავაზების გზით, ან ამ ორის შეჯერების გზით.

სადოქტორო პროგრამის ერთ-ერთი სავალდებულო კურსი არის „პროფესორის ასისტენტობა“, რომელიც დოქტორანტისთვის პედაგოგიური საქმიანობისთვის საჭირო უნარების გამომუშავებას ემსახურება. თავისი შინაარსით კურსი წარმოადგენს „სწავლების თანამედროვე მეთოდების“ კურსში მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას, შესაბამისად, იმისათვის, რომ დოქტორანტმა შეძლოს კურსის მიზნის მიღწევა - დამოუკიდებლად სწავლების მეთოდოლოგიის შემუშავება, სასურველია, კურსის დასახელება შეიცვალოს და დოქტორანტს

არსებულ კურსში პროფესორის ასისტენტობის გარდა, მიეცეს დამოუკიდებლად არჩევითი სასწავლო კურსის ან მოდულის შექმნისა და სწავლების საშუალება ქვედა საგანმანათლებლო საფეხურებზე. კურსს შეიძლება ჰქონდეს სხვა დასახელება „პედაგოგიური პრაქტიკა“ ან სხვა მსგავსი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ➢ უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მასობრივი კომუნიკაციის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ➢ უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მასობრივი კომუნიკაციის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა; ➢ უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მასობრივი კომუნიკაციის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო და კვლევითი კომპონენტების სილაბუსები; ➢ ექსპერტთა ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუ - პროგრამის ხელმძღვანელთან, მოწვეულ და აკადემიურ პერსონალთან.
რეკომენდაციები: ➢ გაძლიერდეს კრიტიკული თეორიის სწავლება „თანამედროვე კომუნიკაციის აქტუალური პრობლემები, კვლევა და ანალიზი“ კურსის ფარგლებში. (ან დაემატოს არჩევითი კურსი) ➢ სამეცნიერო კვლევის მეთოდების კურსი დაიყოს თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდოლოგიის კურსებად და ისწავლებოდეს ორი სემესტრის განმავლობაში ნაცვლად ერთისა. ➢ გაძლიერდეს მონაცემების სტატისტიკური ანალიზის კომპონენტი ან არსებულ სილაბუსში საათების დამატებით, ან ცალკე არჩევითი საგნის შეთავაზების, ან ორივე აღნიშნული გზით.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ➢ კურსის - „პროფესორის ასისტენტობა“, სათაურში გათვალისწინებულ იქნას კურსის პრაქტიკული დატვირთვის მქონე შინაარსიც, რამდენადაც იგი უფრო მეტად შეესაბამება დოქტორანტის მიერ პედაგოგიური პრაქტიკის გამოცდილების შეძენას, ვიდრე ასისტენტობის პრაქტიკისა და, გარდა ამისა, მიეცეს სტუდენტს

საშუალება, დაგეგმოს და ჩაატაროს არჩევითი სასწავლო კურსი ან მოდული სწავლების ქვედა საგანმანათლებლო საფეხურების პროგრამებისთვის.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

პროგრამა ითვალისწინებს პრაქტიკული უნარების განვითარებას. დოქტორანტებს შესაძლებლობა აქვთ გაიარონ პრაქტიკა თავად უნივერსიტეტში.

მასობრივი კომუნიკაციის სადოქტორო პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, დოქტორანტთა პრაქტიკული და სამეცნიერო უნარების განვითარებას და მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

პრაქტიკული უნარების განვითარების მიზნით, სასწავლო კომპონენტის სავალდებულო ელემენტებში **15 კრედიტის მოცულობით გათვალისწინებულია პროფესორის ასისტენტობა.**

პროფესორის ასისტენტობა გულისხმობს ჟურნალისტიკის საბაკალავრო და მედიის კვლევებისა და მულტიმედია წარმოების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისთვის, სამეცნიერო ხელმძღვანელის ხელმძღვანელობით, მეცადინეობების - ლექციების, სემინარების, პრაქტიკული მეცადინეობების ჩატარებას, შუალედური და დასკვნითი გამოცდის საკითხების, ტესტების მომზადებას, სტუდენტთა ქვიზების საგამოცდო ნაშრომების გასწორებას, საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების რეცენზირებას.

მეორე მხრივ, უნივერსიტეტი სტუდენტებს საშუალებას აძლევს ჩაერთონ კვლევითი პროექტების განხორციელებაში; მონაწილეობა მიიღონ იმ სამეცნიერო - კვლევითი პრობლემების დამუშავებაში, რომლებიც პროფესორთა კვლევების ინტერესს წარმოადგენს; სტუდენტთა ჩართვა სამეცნიერო სტუდენტურ კონფერენციებში, ჯგუფური პროექტების დამუშავება და პრეზენტაციები ხელს უწყობს მათი პრაქტიკული უნარების განვითარებას.

მნიშვნელოვანია, რომ აკადემიური და მოწვეული პერსონალის ნაწილი თავად საქმიანობს კვლევის მიმართულებით და სტუდენტების ჩართულობა მათ მუშაობაში მიღებული პრაქტიკაა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- სილაბუსი
- სტუდენტური კონფერენციები და დამადასტურებელი დოკუმენტაცია
- უნივერსიტეტის ფუნდამენტური კვლევების გრანტების და მცირე სამეცნიერო გრანტების პროგრამა

- მულტიმედიაცენტრის ვიზუალური დათვალიერება;
- შესაბამისი ხელშეკრულებები/მემორანდუმები პერსპექტიულ დამსაქმებლებთან ;
- ინტერვიუს შედეგები პროგრამის და მედიალაბორატორიის პედაგოგებთან, პრაქტიკის ხელმძღვანელთან.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი მასობრივი კომუნიკაციის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსი ითვალისწინებს სასწავლო კურსის მიზნის მისაღწევ გზებს (მეთოდებს), რაც სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების პრინციპებს ეფუძნება. თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული სწავლება-სწავლის მეთოდები ორიენტირებულია არა მხოლოდ ცოდნის მიღებაზე, არამედ უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე. მასობრივი კომუნიკაციის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსები მოიცავს თემატიკის შესაბამისი სპეციფიკის სწავლა-სწავლების მეთოდებს. საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში ასახული სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს და თითოეული სასწავლო კურსის მიზნებსა და შინაარსს. სწავლება-სწავლის მეთოდები, სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, უზრუნველყოფს სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, ხოლო არსებული სწავლების მეთოდების ერთობლიობა - პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. სწავლების მეთოდების შერჩევისას გაითვალისწინება სასწავლო კურსის მიზანი და სავარაუდო შედეგი - რა უნდა იცოდეს და რისი გაკეთება შეძლოს დოქტორანტმა. სასწავლო კურსის სილაბუსებით გათვალისწინებული სწავლება-სწავლის მეთოდები ხელს უწყობს კონკრეტული მასალის ათვისებას და ავითარებს სტუდენტის ტრანსფერულ უნარებს. სწავლის პროცესში კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე გამოიყენება სწავლების ისეთი მეთოდები, როგორებიცაა: ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი, წიგნზე მუშაობის მეთოდი, წერითი მუშაობის მეთოდი, დემონსტრირების მეთოდი, ახსნა–განმარტებითი მეთოდი, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლების მეთოდი, ინდუქცია, დედუქციის, ანალიზისა და სინთეზის მეთოდები, აგრეთვე პრაქტიკული მეთოდები: შემთხვევის ანალიზის (Case study), პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL), თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება, ევრისტიკული მეთოდი, გონებრივი

იერიში (Brain storming). სტუდენტები ამზადებენ ჯგუფურ და ინდივიდუალურ კვლევით პროექტს, მის პრეზენტაციას, ჯგუფური მუშაობის დროს იმართება დისკუსია/დებატები და სხვა. სილაბუსებით და ინტერვიუებით დასტურდება, რომ სწავლების პროცესში შესაძლებელია ამა თუ იმ მეთოდისთვის პრიორიტეტის მინიჭება სასწავლო კურსის სპეციფიკიდან და თავისებურებებიდან გამომდინარე, რადგან სწავლებისას გამოყენებული მეთოდების შერჩევა მიმართულია სწავლების აქტივიზებაზე, შემეცნებითი საქმიანობის განვითარებაზე და სტიმულირებაზე, სასწავლო პროცესში სტუდენტთა აქტიურ მონაწილეობაზე. ინტერვიუებზე პედაგოგებთან და სტუდენტებთან დასტურდება სწავლა-სწავლების კომპლექსური მეთოდების გამოყენება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ საგანმანათლებლო პროგრამა ▪ სილაბუსები ▪ სწავლება-სწავლის მეთოდები ▪ ინტერვიუს შედეგები აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მასობრივი კომუნიკაციის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის და მასზე თანდართული დოკუმენტაციის შესწავლის, ასევე, აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, გამოიკვეთა, რომ სტუდენტების ცოდნის შეფასებისას გამოიყენება შეფასების კანონით დადგენილი კრიტერიუმები; პროგრამის განხორციელებისა და სასწავლო დისციპლინების სწავლებისას, თითოეულ დისციპლინაში სტუდენტის მოსწრება ფასდება ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS) და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული "უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის" შესაბამისი შეფასების სისტემით.

შეფასების ფორმები, კომპონენტები და მეთოდები გამოქვეყნებულია და წინასწარ ცნობილი სტუდენტისათვის. სწავლის შედეგების მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შუალედურ და ფინალურ შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს დასკვნით შეფასებას - 100 ქულას. შეფასების ფორმა ითვალისწინებს მინიმალური კომპეტენციის ზღვარს. სტუდენტთა შეფასების ზოგადი წესი კანონთან შესაბამისია, რაც დასტურდება პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი სასწავლო კურსების სილაბუსებით, პროგრამით, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუებით.

უნივერსიტეტის მიერ სტუდენტის ცოდნის შეფასებისას გამოიყენება შეფასების გამჭვირვალე კრიტერიუმები, რაც უზრუნველყოფს სტუდენტის ინფორმირებულობას მიღწეული შედეგების, არსებული ნაკლოვანებებისა და პროგრესის გზების შესახებ, რაც, თავის მხრივ, განაპირობებს უკუკავშირს. უკუკავშირის მეშვეობით დგინდება, რამდენად გამართულად, ხარისხიანად, შედეგზე ორიენტირებულად მიმდინარეობს სასწავლო პროცესი. პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილ სილაბუსებში შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, დისციპლინის სპეციფიკის და მახასიათებლების გათვალისწინებით იკითხება აკადემიური პერსონალის ინდივიდუალიზმი. შეფასების კრიტერიუმები მოიცავს სამუშაო ჯგუფში აქტიურობას, საშინაო დავალებების შესრულებას, კონკრეტული სიტუაციური ამოცანის ამოხსნაში მონაწილეობას, წერითი ქვიზების შესრულებას, რეფერატების მომზადებასა და პრეზენტაციებს, ინდივიდუალური თუ ჯგუფური პროექტების მომზადებას (თითოეული მათგანის ინდივიდუალური მახასიათებლების გათვალისწინებით განსაზღვრულ შეფასების კრიტერიუმს). სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მასობრივი კომუნიკაციის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული საგნების სილაბუსებში წარმოდგენილი სტუდენტთა შეფასების კრიტერიუმები სრულად შეესაბამება სასწავლო კურსის შინაარსს და უზრუნველყოფს სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების სრულად მიღწევას. წარმოდგენილი მეთოდებით, სტუდენტების შეფასების ნაწილის დამუშავება სილაბუსებში სტუდენტს აძლევს შესაძლებლობას წინასწარ, ცხადად ჰქონდეს ამომწურავი ინფორმაცია, თუ როგორ, რა ფორმით და რა კრიტერიუმებზე დაყრდნობით ხდება მათი შეფასება კონკრეტული აქტივობების გათვალისწინებით, პროგრამით განსაზღვრულ სავალდებულო და არჩევით საგნებში. უნივერსიტეტის მიერ კომპლექსურად ხორციელდება მომიჯნავე დარგის სწავლის შეფასების შედეგების ანალიზი, რაც გამოიყენება სწავლების პროცესის გასაუმჯობესებლად. უსდ-ს მიერ, პროგრამის ფარგლებში

უზრუნველყოფილია სტუდენტების მიერ დისციპლინაში მიღებული შეფასების შედეგების გასაჩივრება, რაც მოქნილი ფორმით ხორციელდება. მომიჯნავე დარგის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან საუბრისას აღინიშნა, რომ დაწესებულება სისტემატიურად იღებს უკუკავშირს სწავლის შედეგებზე; ასევე, ძლიერი და სუსტი მხარეების შედეგების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით ახორციელებს მხარდამჭერ კონსულტაციებს სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან. სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის, მასობრივი კომუნიკაციის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტის არცერთი სავალდებულო ელემენტი არ ფასდება ქულებით და დოქტორანტს, შესაბამისად, მათი შესრულების შემდეგ, კრედიტი არ მიენიჭება. ფასდება მხოლოდ დოქტორანტის დისერტაცია ერთჯერადად, მხოლოდ დასკვნითი შეფასებით. სადოქტორო ნაშრომის შეფასების სისტემა მოიცავს შემდეგი ტიპის შეფასებებს: ფრიადი (summa cum laude) – შესანიშნავი ნაშრომი; ძალიან კარგი (magna cum laude) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება; კარგი (cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება; საშუალო (bene) – დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს; დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს; არადამაკმაყოფილებელი (insufficient) – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო; სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს. დამაკმაყოფილებელი (rite) შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს უფლება ეძლევა ერთი წლის განმავლობაში წარადგინოს გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომი, არადამაკმაყოფილებელი (insufficient) შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იგივე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის #3 ბრძანების თანახმად, სადოქტორო ნაშრომის შეფასების სისტემით გათვალისწინებული ნებისმიერი დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში, დოქტორანტის მიერ შესრულებული და იმავე ან მომდევნო სემესტრში დაცული დისერტაცია ჩაითვლება დასრულებულად და მიენიჭება სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული მასობრივი კომუნიკაციის დოქტორის კვალიფიკაცია / აკადემიური ხარისხი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები ➢ უსდ-ს სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მასობრივი კომუნიკაციის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ➢ უსდ-ს სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მასობრივი კომუნიკაციის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა; ➢ უსდ-ს სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მასობრივი კომუნიკაციის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები; ექსპერტთა ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუ - დაწესებულების ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, უსდ-ს მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	X			

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მასობრივი კომუნიკაციის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის და თანდართული დოკუმენტაციის შესწავლის, ასევე, აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, გამოიკვეთა შემდეგი გარემოებები: უსდ-ს მიერ განსაზღვრული სწავლის პროცესის რეგულირების წესი და პირობები შიდასამართლებრივი აქტებით სტუდენტებისათვის ადვილად გასაგები და მარტივად ხელმისაწვდომია (მომიჯნავე დარგის სტუდენტები და კურსდამთავრებულები ინტერვიუებში აღნიშნავენ, უსდ-ს მიერ შიდასამართლებრივი აქტებით განსაზღვრული პროცედურების ხელმისაწვდომობას).

სტუდენტები იღებენ კონსულტაციას და მხარდაჭერას სასწავლო პროცესის დაგეგმვასთან, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასთან, კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით. სტუდენტები ინფორმირებულები არიან უნივერსიტეტში არსებული კონსულტაციებისა თუ სხვა მხარდამჭერი აქტივობების შესახებ. სტუდენტებს საშუალება აქვთ წინასწარ გაეცნონ სასწავლო კურსების შესახებ ინფორმაციას და მასზე დაყრდნობით აირჩიონ მათთვის სასურველი დისციპლინა. სასწავლო კურსების და აკადემიური/მოწვეული პერსონალის არჩევის პროცესში დაწესებულება სტუდენტთა ინტერესებს მაქსიმალურად იღებს მხედველობაში. სტუდენტებს სასწავლო პროცესის მიმდინარეობასთან დაკავშირებით მიეწოდებათ დეტალური ინფორმაცია და აქვთ კომუნიკაცია როგორც დაწესებულების ადმინისტრაციასთან, აკადემიურ თუ მოწვეულ პერსონალთან, ასევე წვდომა სასწავლო კურსით განსაზღვრულ მასალებზე, მრავალფეროვან საბიბლიოთეკო რესურსებზე, სასწავლო გეგმასა და აკადემიურ კალენდარზე. უნივერსიტეტის ელექტრონული პორტალის მეშვეობით ყველა სერვისის ხელმისაწვდომობა მოქნილი და კომფორტულია. უნივერსიტეტის მიერ დამსაქმებელთა, პროფესორ-მასწავლებლების, მომიჯნავე დარგის სტუდენტებისა და მომიჯნავე დარგის კურსდამთავრებულების შეფასებებით მიღებული უკუკავშირის შესაბამისად, პროგრამით განსაზღვურული სავალდებულო და არჩევითი საგნები მაქსიმალურად ორიენტირებულია სწავლების თანამედროვე მეთოდების გამოყენებაზე.

ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით დაწესებულებას განსაზღვრული აქვს სტრატეგია, რომელიც ითვალისწინებს სტუდენტებისა და აკადემიური თუ

მოწვეული პერსონალის მობილობას საზღვარგარეთ პარტნიორ უნივერსიტეტებში, კვლევითი პროექტების დაფინასებას/თანადაფინანსებას. პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები ორიენტირებულია თანამედროვე შრომის ბაზარზე არსებულ საჭიროებებზე. უნივერსიტეტი მხარს უჭერს სტუდენტებს საკუთარი ინდივიდუალური სასწავლო განრიგის ფორმირებაში; სალექციო ცხრილი არის მოქნილი და სტუდენტებს საშუალება აქვთ აირჩიონ ლექციების ჩასატარებლად მათთვის სასურველი დრო. უნივერსიტეტი ახორციელებს წარმატებული სტუდენტების წახალისებას, სტიპენდიების გაცემას, მათ დაფინანსებას თუ თანადაფინანსებას კვლევით პროექტებში, საერთაშორისო კონფერენციებსა თუ სხვა ტიპის აქტივობებში. მომიჯნავე დარგის სადოქტორო პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუებში აღინიშნა, რომ უსდ მხარს უჭერს მათ მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივ, საერთაშორისო კონფერენციებში, კვლევით პროექტებში. უსდ მაქსიმალურად უცხადებს მხარდაჭერას თავის სტუდენტებს, და საჭიროების შემთხვევაში მზადაა გამოყოს შიდა (საუნივერსიტეტო) დაფინანსება, სამეცნიერო კვლევითი პროექტების დასაფინანსებლად. უსდ ჩართულია "ერასმუსის" პროგრამაში, ასევე, პარტნიორ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობს, რომლის მეშვეობით, გაცვლითი აქტივობების ფარგლებში, დაწესებულების სტუდენტები და აკადემიური პერსონალი იღებენ მონაწილეობას. უსდ ახორციელებს კარიერული განვითარებისთვის მხარდამჭერ ღონისძიებებს. სისტემატიურად აწვდის სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს ინფორმაციას ვაკანსიების შესახებ. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას მემორანდუმები აქვს გაფორმებული როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორის წარმომადგენლებთან, რაც სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას თავიანთი ინტერესების შესაბამისად, ითანამშრომლონ კერძო და საჯარო სექტორის წარმომადგენლებთან.

დაწესებულებას აქვს ადგილობრივი კვლევითი ფონდების მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსებში სტუდენტების მონაწილეობის მხარდამჭერი ღონისძიებების გამოცდილება. ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით სასურველია, დაწესებულებამ, პირველ ეტაპზე გააღრმავოს თანამშრომლობა საზღვარგარეთის პარტნიორ უნივერსიტეტებთან, ასევე ფინანსური საკითხების მოგვარების მიზნით გაცვლითი პროგრამების ფარგლებში, მოიძიოს და მიაწოდოს სტუდენტს ყველა საჭირო ინფორმაცია, არა მხოლოდ ადგილობრივი, არამედ საერთაშორისო დონორების, საერთაშორისო კვლევითი ფონდების შესახებ; გაუწიოს მხარდაჭერა საერთაშორისო კვლევითი ფონდების მიერ გამოცხადებული სტიპენდიების მოპოვებაში; უკვე არსებული "ერასმუსის" პროგრამის ფარგლებში,

უზრუნველყოს სტუდენტების სათანადო, კონკურენტუნარიან კადრებად მომზადება, რათა მათ შეუფერხებლად შეეძლოთ გაცვლით პროგრამებში მონაწილეობა და პროგრამის ინტერნაციონალიზაციისთვის გათვალისწინებული მიზნების მიღწევა წარმატებით განხორციელდეს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ➢ უსდ-ს სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის, მასობრივი კომუნიკაციის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში თანდართული დოკუმენტაციით; ➢ უსდ-ს სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის, მასობრივი კომუნიკაციის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა; ➢ უსდ-ს სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის, მასობრივი კომუნიკაციის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტი; ➢ უსდ-ს სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის, მასობრივი კომუნიკაციის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები; ➢ უსდ-ს სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიუჯეტი; უსდ-ს მასობრივი კომუნიკაციის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი; ➢ უსდ-ს მემორენდუმები პარტნიორ უნივერსიტეტებთან, პარტნიორ ორგანიზაციებთან, პარტნიორ საჯარო/კერძო დაწესებულებებთან; აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტისას განხორციელებული ინტერვიუ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციასთან, პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, დამსაქმებლებთან, მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება დისტანციურად, პროგრამა "zoom"-ის მეშვეობით, youtube-ზე ატვირთული - უსდ-ს მიერ მომზადებული ვიდეო მატერიალურ-ტექნიკური ბზის დეტალურად აღსაქმელად; უსდ-ს ბიბლიოთეკა, სტუდენტების ერთიანი ელექტრონული პორტალი; უსდ-ს ვებ-გვერდი.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით, სასურველია დაწესებულებამ პირველ ეტაპზე, გააღრმავოს თანამშრომლობა საზღვარგარეთის პარტნიორ უნივერსიტეტებთან; ასევე ფინანსური საკითხების მოგვარების მიზნით, გაცვლითი

პროგრამების ფარგლებში, მოიძიოს და მიაწოდოს სტუდენტს ყველა საჭირო ინფორმაცია საერთაშორისო დონორების, საერთაშორისო კვლევითი ფონდების შესახებ, გაუწიოს კონსულტაცია საერთაშორისო კვლევითი ფონდების მიერ გამოცხადებული სტიპენდიების მოპოვებაში; უკვე არსებული ერასმუსის პროგრამის ფარგლებში, უზრუნველყოს სტუდენტების სათანადო, კონკურენტუნარიან კადრებად მომზადება, რათა მათ შეუფერხებლად შეეძლოთ გაცვლით პროგრამებში მონაწილეობა და პროგრამის ინტერნაციონალიზაციისთვის გათვალისწინებული მიზნების მიღწევა წარმატებით განხორციელდეს.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ▪ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ▪ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ▪ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ▪ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მასობრივი კომუნიკაციის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში და თანდართული დოკუმენტაცია, ასევე, აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებული ინფორმაცია საშუალებას გვაძლევს დავადასტუროთ, რომ სადოქტორო პროგრამის განხორციელება უზრუნველყოფილია შესაბამისი ადამიანური რესურსით. სადოქტორო პროგრამას ანხორციელებს და ხელძღვანელობს აკადემირი ხარისხისა და მაღალი კვალიფიკაციის მქონე პროგრამის ხელმძღვანელი. პროგრამის ხელმძღვანელის კვალიფკაცია და ის, რომ პროგრამის ხელმძღვანელს აქვს პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში, დასტურდება პირველ

რიგში კვალიფიციურად შედგენილი პროგრამის მასალებით, ასევე დოკუმენტებით (თანდართული CV-ით) და მასთან ინტერვიუ-გასაუბრებით. ცალკეულ დოქტორანტებს უხელმძღვანელებენ კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორები და ასოცირებული პროფესორები. გარდა ამისა, უნივერსიტეტი სადოქტორო პროგრამის თითოეულ სტუდენტს სთავაზობს კვალიფიციურ ხელმძღვანელს და საჭიროების შემთხვევაში შეუძლია მოიწვიოს ერთი ან მეტი თანახელმძღვანელი, რომელსაც აქვს საკვლევი თემის შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება. უნივერსიტეტს სადისერტაციო საბჭოსა და დოქტურანტურის დებულებაში განსაზღვრული აქვს, თუ რა საკვალიფიკაციო მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს აკადემიური პერსონალი იმისათვის, რომ ისინი უფლებამოსილნი იყვნენ უხელმღვანელონ სტუდენტს სადოქტორო ნაშრომზე მუშაობისას. უნივერსიტეტი იღებს ვალდებულებას, თემის სპეციფიკიდან გამომდინარე, დოქტორანტის არგუმენტირებული მოთხოვნის შემთხვევაში, ხელმძღვანელად მოიწვიოს სხვა უნივერსიტეტის პროფესორი, ხოლო დოქტორანტის ხელმძღვანელის არგუმენტირებული დასაბუთების არსებობის შემთხვევაში, თანახელმძღვანელად მოიწვიოს უცხოელი პროფესორი. ასევე, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ პერსონალს აქვს კომპეტენცია კვლევითი კომპონენტის ნებისმიერი ელემენტის შესრულებისას უხელმძღვანელოს უცხოელ დოქტორანტს, რომელსაც სურვილი ექნება კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში განახორციელოს სადოქტორო დისერტაციის კვლევის ნაწილი, ან კვლევა სრულად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ➢ უსდ-ს სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის, მასობრივი კომუნიკაციის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში თანდართული დოკუმენტაციით: ➢ უსდ-ს სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის, მასობრივი კომუნიკაციის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა სადიცერტაციო საბჭოსა და დოქტურანტურის დებულება; ➢ უსდ-ს სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის, მასობრივი კომუნიკაციის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტი, დებულება;

➢ უსდ-ს სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის, მასობრივი კომუნიკაციის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები; უსდ-ს სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის, მასობრივი კომუნიკაციის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მოწვაული და აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები(CV).
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა X **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების

ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;

- პროგრამის ხელმძღვანელს აქვს პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამაზე სასწავლო პროცესს უძღვება მაღალი კვალიფიკაციის აკადემიური პერსონალი და შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე გარკვეული ვადით მოწვეული (ასევე მაღალი კვალიფიკაციის) ლექტორები.

აკადემიურ თანამდებობებზე რექტორის ბრძანებით დანიშნულნი არიან კონკურსის წესით შერჩეული, სათანადო სამეცნიერო ხარისხისა და სამეცნიერო -პედაგოგიური გამოცდილების მქონე პირები.

ლექტორებად მოწვეულნი არიან საკმაო პრაქტიკული გამოცდილების მქონე სპეციალისტები, რომელთაც აქვთ შესაბამისი კვალიფიკაცია და შესაბამისად, შრომები კონკრეტული მიმართულებით.

აკადემიური და მოწვეული პერსონალის შესაბამისი კომპეტენციები დასტურდება მათ მიერ ბოლო 5 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომებით. და პროგრამაზე მომუშავე თითოეული პედაგოგის CV-ით;

პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალისა და მოწვეული პროფესორ-მასწავლებლების მიერ ჩატარებული ლექციების, სემინარებისა და პრაქტიკული მეცადინეობების ხარისხი სისტემატურად მოწმდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ, რაც აისახება სპეციალური გამოკითხვის ფორმებში.

პროგრამის განმახორციელებლების შერჩევის მიზნით, უნივერსიტეტში ჩატარდა რამდენიმე კონკურსი აკადემიურ თანამდებობათა დასაკავებლად. პროგრამას ემსახურება შვიდი პროფესორი, მათ შორის, 3 სრული პროფესორი, 4 ასოცირებული პროფესორი, მოწვეულია 3 პროფესორი.

ზემოაღნიშნული აკადემიური პერსონალიდან, აფილირებულია 3 პროფესორი და 4 ასოცირებული პროფესორი.

როგორც წინა სტანდარტის შეფასებისასაც აღინიშნა, უნივერსიტეტი იღებს ვალდებულებას, თემის სპეციფიკიდან გამომდინარე, დოქტორანტის

არგუმენტირებული მოთხოვნის შემთხვევაში, ხელმძღვანელად მოიწვიოს სხვა უნივერსიტეტის პროფესორი ან უცხოელი პროფესორი.

ასევე, თუ უცხოელ დოქტორანტს, რომელსაც სურვილი ექნება კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში განახორციელოს სადოქტორო დისერტაციის კვლევის ნაწილი, ან კვლევა, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ პერსონალს აქვს კომპეტენცია კვლევითი კომპონენტის ნებისმიერი ელემენტის შესრულებისას უხელმძღვანელოს.

პროგრამაში ჩართულ თითოეულ პროფესორს აქვს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია და კონკრეტული სალექციო კურსების წაკითხვის გამოცდილება.

პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შედეგების უზრუნველყოფას.

აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის რაოდენობა უზრუნველყოფს პირველ კურსზე ჩასარიცხი დოქტორანტების რაოდენობას და, შესაბამისად, მათ შორის ბალანსი პროგრამის მდგრადობის გარანტიაა.

ინტერვიუებიდან გამოიკვეთა, რომ აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალი სწავლების გარდა აცხადებს მზაობას ჩართული იყოს დოქტორანტების კონსულტირების და პროგრამის განვითარების პროცესებში.

პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გაფორმებულია ხელშეკრულებები საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

უნივერსიტეტის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს ლექტორთა სამეცნიერო კონფერენციებს; საჯარო ლექციებსა და სემინარებს;

როგორც ზემოთაც ვთქვით, პროგრამის ხელმძღვანელი მაღალი კვალიფიკაციის მქონეა და აქვს პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება. იგი უშუალოდ იყო ჩართული პროგრამის შემუშავებაში.

როგორც ადმინისტრაციასთან ინტერვიუთი გაირკვა, საგანმანათლებლო პროგრამა განხორციელდება უნივერსიტეტის ადმინისტრაციისა და მართვის სხვა სამსახურების ხელშეწყობით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პერიოდული მონიტორინგისა და სტუდენტთა გამოკითხვების შედეგების გათვალისწინებით.

პროგრამას უშუალოდ მოემსახურება კომპეტენტური ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი. კერძოდ, დეკანი, ფაკულტეტის აკადემიური პროცესის მართვის სპეციალისტები, პროგრამის ხელმძღვანელი. საჭიროების შემთხვევაში სტუდენტს ამომწურავი ინფორმაცია შეუძლია მიიღოს მათგან.

უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მიზნით დაგეგმილია მათი ჩართვა კვალიფიკაციის ამაღლების, გადამზადებისა და ა. შ. კურსებზე, ტრენინგებსა და სემინარებში. უნივერსიტეტის ბიუჯეტში გათვალისწინებულია აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებისთვის განკუთვნილი ფინანსური უზრუნველყოფა. უნივერსიტეტის ადმინისტრაცია მზადაა სადოქტორო თემის ხელმძღვანელი არგუმენტირებული დასკვნის საფუძველზე, საკვლევი თემის სპეციფიკიდან გამომდინარე, დოქტორანტი ერთი სემესტრით მიავლინოს საზღვარგარეთ იმ უნივერსიტეტში, რომელშიც მის თემაზე მიმდინარეობს კვლევითი პროცესი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ➢ თვითშეფასების ანგარიში ➢ აფილირებული, აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის პირადი საქმეები; ➢ ლექციების, სემინარებისა და პრაქტიკული მეცადინეობების ხარისხის შესამოწმებლად ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებული სპეციალური გამოკითხვის ფორმები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
პროგრამის განვითარებისთვის რჩევები
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის კომპეტენციების შეფასებას და მათი აკადემიური მუშაობის შედეგების ანალიზს. ამისთვის ხარისხის სამსახურს დაწვრილებით აქვს გაწერილი ის პროცედურა, რითიც ხდება შეფასება: შეფასება ხორციელდება სტუდენტებში ე.წ. კმაყოფილების კვლევებით იმ ფორმებისა და კრიტერიუმების მიხედვით, რომელსაც ადგენს ხარისხის სამსახური. შეფასების დამთავრების შემდეგ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური წერს დასკვნას და შეიმუშავებს რეკომენდაციებს, რომლებსაც გადასცემს პროგრამის ხელმძღვანელს, ხარვეზის გამოსწორების მიზნით.

სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებას აკეთებს ფაკულტეტის დეკანიც, დადგენილი კრიტერიუმებისა და ფორმების შესაბამისად.
გარდა ამისა, უნივერსიტეტი მუდმივად ზრუნავს აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის კვლევითი საქმიანობის და სტუდენტთა მიერ სამეცნიერო–კვლევითი ხასიათის ნაშრომების შესრულების ხელშეწყობაზე, სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციების მოწყობაზე, უნივერსიტეტის პროფესორ–მასწავლებელთა ნაშრომების, სახელმძღვანელოებისა და დამხმარე სახელმძღვანელოების გამოცემა–დაბეჭდვაზე. პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი სისტემატურად მონაწილეობს საერთაშორისო პროექტებში, კველევებსა და კონფერენციებში.
პროგრამის ადმინისტრაცია ბიუჯეტის ფარგლებში ცდილობს აკადემიური პერსონალის წახალისებას, თუნდაც კონფერენციების ხარჯების ნაწილობრივი ფინანსირების გზით.
უნივერსიტეტი უზრუნველყოფს აკადემიური პერსონალის მასტერ კლასებსა და კვალიფიკაციის ასამაღლებელ სხვადასხვა ტრეინინგებში მონაწილეობის როგორც საორგანიზაციო, ასევე ფინანსურ ხელშეწყობას.
აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელების ხელისშემწყობი მატერიალური და ფინანსური რესურსები გათვალისწინებულია ბიზნესის ფაკულტეტის ბიუჯეტსა და უნივერსიტეტის ბიუჯეტში, ასევე სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუები: აკრედიტაციის თვითშეფასების გუნდთან, პროგრამის აკადემიურ პერსონალთან
- სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიუჯეტი;
- მასობრივი კომუნიკაციის სადოქტორო პროგრამის ბიუჯეტი;
- უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უსდ-ს მატერიალურ-ტექნიკური რესურსები მაქსიმალურად ორიენტირებულია სტუდენტების ინტერესებზე. აუდიტორიები, სასწავლო სივრცე, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული აუდიტორიები სრულად აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებსა და გამოწვევებს. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა თანამედროვე, მოქნილი სისტემით იმართება, რაც ძალიან კომფორტულს ხდის მუშაობისა და კვლევის პროცესს. რესურსები კატალოგიზებულია და მარტივად შესაძლებელია

მათი მოძებნა. უნივერსიტეტი აღჭურვილია სალექციო და პრაქტიკული მეცადინეობისათვის განკუთვნილი თანამედროვე ტიპის აუდიტორიებით. ბიბლიოთეკაში დაცულია უსდ-ში არსებული პროგრამების შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული ფონდი, რომელიც ხელმისაწვდომია, მათ შორის უნივერსიტეტის ფარგლებს გარედან, სტუდენტებისთვის, მოწვეული და აკადემიური პერსონალისათვის. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა ჩართულია საერთაშორისო საინფორმაციო და სამეცნიერო რესურსების ბაზებთან, ჩამონათვალი დიდია და მრავალფეროვანი. უსდ-ს აქვს სპეციალური პლაგიატის პროგრამა, რომლის მეშვეობითაც ხდება სადოქტორო ნაშრომების პლაგიატის პროგრამის მეშვეობით შემოწმება. სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება სტუდენტებისთვის შეზღუდვების გარეშე ხელმისაწვდომი უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი, კერძოდ: სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები და საკონფერენციო დარბაზები; კომპიუტერული ტექნიკითა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით აღჭურვილი ბიბლიოთეკა; კომპიუტერული ბაზა - კომპიუტერული კლასები, ინტერნეტსა და შიდა ქსელში ჩართული კომპიუტერული ტექნიკა და სწავლის/სწავლების პროცესის ადეკვატური კომპიუტერული პროგრამები; სხვადასხვა ტექნიკური მოწყობილობები და ა.შ;
თანამედროვე სტანდარტებით, კომპიუტერული ტექნიკითა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით აღჭურვილი ბიბლიოთეკა, სამკითხველო დარბაზით, საბიბლიოთეკო ფონდებთან მკითხველის თავისუფალი დაშვებით, იზოლირებული შეხვედრების ოთახებით, საკონფერენციო ოთახით და ბიბლიოთეკარების სამუშაო სივრცით. საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი სახელმძღვანელო და მეთოდური ლიტერატურით. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა სტუდენტებს უზრუნველყოფს სასწავლო კურსების სილაბუსებით გათვალისწინებული შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული სახელმძღვანელოებით, სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო ლიტერატურით, აგრეთვე ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის მონაცემთა ბაზით და უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსებული ელექტრონული კატალოგით.

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა 2010 წლიდან არის საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის წევრი და ჩართულია საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ქსელში. სტუდენტებს საშუალება აქვთ ისარგებლონ ბიბლიოთეკაში არსებული წიგნების ელექტრონული ვერსიებით და კომპაქტდისკებით. 2012 წელიდან უნივერსიტეტი გაწევრიანებულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ

ბიბლიოთეკაში (საჯარო ბიბლიოთეკა), როგორც ბიბლიოთეკათშორისი აბონენტი და სარგებლობს ბიბლიოთეკათშორისი სააბონენტო მომსახურებით.
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი დარეგისტრირებულია ასოციაცია "ელექტრონული ინფორმაცია ბიბლიოთეკებისათვის" – eIFL", მონაწილეთა კონსორციუმის წევრად , გაფორმებული აქვს ხელშეკრულება შპს Innovative Systems Management-თან EBSCO-ს ელექტრონულ ბაზებზე.
უსდ აწარმოებს სტუდენტების, აკადემიური/მოწვეული პერსონალის მიერ სალიტერატურო ბაზების გამოყენების სტატისტიკას. დაწესებულების მიერ, სალიტერატურო ბაზების გამოყებების სტატისტიკის ანალიზის მონიტორინგი სისტემატიურად ხორციელდება.

მასობრივი კომუნიკაციის სადოქტორო პროგრამაზე სწავლებისას მნიშნელოვანი ელემენტია მულტიმედია ცენტრის ფუნქციონირება. ის აერთიანებს თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილ ტელე და რადიო სტუდიებს, ე.წ. ნიუსრუმსა და სამონტაჟო კაბინეტებს, გაზეთისა და ჟურნალის რედაქციებს, ხმის ჩამწერ სტუდიებს, საგრიმიოროს და სხვ. ცენტრში მუდმივად იმართება დარგის განვითარებისთვის მნიშვნელოვანი ღონისძიებები: სემინარები, დისკუსიები, საჯარო შეხვედრები ექსპერტებსა თუ პრაქტიკოსებთან. მრავალფუნქციურ შემეცნებით გარემოს ორი კომპონენტი ქმნის. ერთი მხრივ, ესაა თანამედროვე მოთხოვნებს მორგებული, უახლესი ტექნიკითა და მიზნობრივი დიზაინით მოწყობილი ინფრასტრუქტურა და, მეორე მხრივ, უნივერსიტეტის ინტელექტუალური რესურსი. ინფორმაცია უსდ-ს მულტიმედია ცენტრის შესახებ განთავსებულია შემდეგ ბმულზე: http://multimedia.ciu.edu.ge/?lang=ge.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის, მასობრივი კომუნიკაციის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა, პროგრამის თვითსეფასების ანგარიში თანდართული დოკუმენტებით;
- უსდ-ს საერთაშორისო საინფორმაციო და სამეცნიერო რესრუსებთან წვდომა;
- აკრედიტაციის ქსპერტთა ვიზიტისას განხორციელებული ინტერვიუ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციასთან, პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, დამსაქმებლებთან, მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება დისტანციურად, პროგრამა “zoom”-ის მეშვეობით, youtube-ზე ატვირთული, უსდ-ს მიერ მომზადებული

ვიდეო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დეტალურად აღსაქმელად. (უსდ-ს ბიბლიოთეკის online დათვალიერება, სტუდენტების ერთიანი ელექტრონული პორტალი; უსდ-ს ვებ-გვერდი; უსდ-ს მულტიმედია ცენტრის შესახებ განთავსებული ინფორმაცია: http://multimedia.ciu.edu.ge/?lang=ge.)
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მასობრივი კომუნიკაციის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აქვს დამოუკიდებელი ბიუჯეტი. დაწესებულებამ ექპერტთა ჯგუფს წარუდგინა, როგორც სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიუჯეტი, ასევე, ამავე ფაკულტეტის მასობრივი კომუნიკაციის სადოქტორო პროგრამის ბიუჯეტი. უნივერსტეტს პროგრამის შესაბამისი ფინანსური მხარდაჭერა აქვს, რაც ნათლად და დეტალურად არის განსაზღვრული პროგრამის ბიუჯეტში. პროგრამისთვის დაწესებულების მიერ განსაზღვრული ბიუჯეტით გათვალისწინებული ხარჯები არის განხორციელებადი და ეკონომიკურად მიღწევადი. პროგრამის ხარჯები მოიცავს ადმინისტრაციული, მოწვეული და აკადემიური პერსონალის შრომის ანაზღაურებას, საგამომცემლო/სასტამბო ხარჯებს, თარგმნა-რედაქტირების, სესიების, კონფერენციებისა და სემინარების ხარჯებს, წარმომადგენლობით ხარჯებს (უცხოეთიდან მოწვეული ლექტორის ყოველდღიური ხარჯი, ბილეთი, საცხოვრებელი და სხვა, გარდა ხელფასისა), სარეკლამო და PR აქტივობებისთვის განსაზღვრულ ხარჯებს, ტრეინინგების, სამივლინებო (როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთ) ხარჯებს. საჭიროების შემთხვევაში, უნივერსიტეტი მზადაა და გააჩნია შესაბამისი რესურსი, დამატებითი ფინანსები გამოყოს პროგრამის განხორციელების მიზნებისთვის, დასაბუთებული შუამდგომლობის საფუძველზე როგორც სტუდენტების, ასევე აკადემიური თუ მოწვეული პერსონალის კვლევითი პროექტებისთვის, საზღვარგარეთ პარტნიორ უნივერსიტეტებთან სამივლინებო/სასწავლო მიზნებისთვის განკუთვნილი აქტივობებისთვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ➢ უსდ-ს სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის, მასობრივი კომუნიკაციის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა, პროგრამის თვითსეფასების ანგარიში თანდართული დოკუმენტებით;
- ➢ უსდ-ს სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიუჯეტი;
- ➢ უსდ-ს მასობრივი კომუნიკაციის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი;

აკრედიტაციის ქსპერტთა ვიზიტისას განხორციელებული ინტერვიუ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციასთან, პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, დამსაქმებლებთან, მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების

განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტში მუშაობს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც მიზნად ისახავს სწავლებისა და კვლევის ხარისხის ამაღლებას, ხარისხის განვითარების შესაძლებლობების გაუმჯობესებას, მოქმედი სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის დახვეწას. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მუშაობის საქმიანობა იგეგმება მუშაობის საერთო PDCA პრინციპების შესაბამისად, P (plan) - დაგეგმვა; D (do) განხორციელება; C (check) - შემოწმება; A (act) - რეაგირება. PDCA პრინციპების შესაბამისად, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური თავის მხრივ განსაზღვრავს უნივერსიტეტის საქმიანობის შესამოწმებელ და შესაფასებელ ასპექტებს, შემოწმების თანამიმდევრობას, თავად ამოწმებს და შემოწმების მიზნით ქმნის შესაბამისი კომპეტენციების მქონე შემმოწმებელთა ჯგუფს, შემოწმების საფუძველზე აანალიზებს მიღებულ შედეგებს, შედეგების ანალიზის საფუძველზე შეიმუშავებს რეკომენდაციებს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოფხვრისა და გაუმჯობესებისათვის. აღნიშნული მოიცავს სასწავლო პროცესის მონიტორინგს, საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კომპონენტების სასწავლო კურსებით გაწერილი სასწავლო აქტივობების განხორციელების, მათი შინაარსისა და საჭირო მატერიალური რესურის შემოწმებას, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების პერიოდულ მონიტორინგს, შესაბამისი ადამიანური რესურსის შეფასებასა და გაუმჯობესებას. მასობრივი კომუნიკაციების სადოქტორო სასწავლო პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს ხარისხის უზრუნვეოყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად. პროგრამაში ჩართული პერსონალი პროგრამასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებისას ითვალისწინებს ხარისხის შეფასების შედეგებს; პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის შედგენაში ჩართულია როგორც აკადემიური, ასევე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ➢ თვითშეფასების ანგარიში;

➢ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები; ➢ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი იყენებს ხარისხის უზრუნველყოფის შემდეგ გარე მექანიზმებს: ა) ავტორიზაციას და აკრედიტაციას, რომელსაც ახორციელებს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი; ბ) პროგრამის გაუმჯობესების მიზნით, სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში დასაქმებული ქართველი და/ან უცხოელი კოლეგების მიერ განმავითარებელ კოლეგიალურ შეფასებას. მასობრივი კომუნიკაციის სადოქტორო პროგრამა ამუშავების შემთხვევაში მზად არის გამოიყენოს გარე ხარისხის შეფასების შედეგები, გაზიარებული და გათვალიწინებულ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა რეკომენდაციები. პროგრამა შესაბამისობაშია მოყვანილი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ახალ სტანდარტებთან და განახლებულ ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ➢ თვითშეფასების ანგარიში ➢ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ინტერვიუებიდან და თვითშეფასების ანგარიშიდან აშკარაა, რომ მასობრივი კომუნიკაციის სადოქტორო სასწავლო პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება განხორციელდება აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით, ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე მოხდება პროგრამის მოდიფიცირება. ხარისხის სამსახურის მიერ, სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას, წინასწარ განსაზღვრული შეფასების ფორმის შესაბამისად განხორციელდება აკადემიური და მოწვეული პერსონალის სწავლების შეფასება ლექციებზე დასწრების საშუალებით, რაც ემსახურება სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას. აღნიშნულის შესახებ სასწავლო წლის დასაწყისში ინფორმირებული იქნებიან პროფესორ/მაწავლებლები. მოხდება

შეფასების შედეგების ანალიზი და რეკომენდაციების გაცნობა პროფესორ/მასწავლებლებისათვის. სასწავლო კურსის დახვეწისა და გაუმჯობესების მიზნით, ყოველი სემესტრის ბოლოს სტუდენტები კითხვარების მეშვეობით შეფასებენ სასწავლო კურსებს და კურსის ლექტორებს. ეს უნივერსიტეტის მოქმედი პრაქტიკაა. მოხდება შედეგების დამუშავება, რეკომენდაციების შემუშავება და საჭიროების შემთხვევაში სასწავლო კურსის სილაბუსის მოდიფიცირება. მასობრივი კომუნიკაციის სადოქტორო პროგრამის შემუშავებისას, თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით მოხდა შედარება საქართველოს და უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან და გათვალისწინებულია საუკეთესო პრაქტიკა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ➢ თვითშეფასების ანგარიში; ➢ პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების შედეგები და ამ შედეგების გამოყენება; ➢ სასწავლო კურსის შეფასების მიზნით განხორციელებული აქტივობები და ცვლილებები; ➢ სტუდენტების, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების გამოკითხვა; ○ ➢ პერსონალის CV-ები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის უცხოელ პარტნიორებთან პროგრამის დაახლოება და მათი კურუკულუმების შესწავლა არა მარტო დისტანციურად, არამედ უშუალო კონტაქტის მეშვეობითაც.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების	X			

შესაძლებლობები				

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:
შპს -კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:
მასკომუნიკაციის სადოქტორო პროგრამა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 60

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	☑			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	☑			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	☑			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	☑			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	☑			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის



ლელა ფირალიშვილი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

ანა ქეშელაშვილი

თათია უბერი